



მცხეთა - მთიანეთის  
საინფორმაციო  
ცენტრი



17.12.2012 12:57

- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
  - [პოლიტიკა](#)
  - [საზოგადოება](#)
  - [ადამიანის უფლებები](#)
  - [განათლება](#)
  - [ეკოლოგია](#)
  - [კულტურა](#)
  - [ეკონომიკა](#)
  - [ტექნოლოგიები](#)
  - [სპორტი](#)
- [სტატიები](#)
- [მულტიმედია](#)
- [კონფლიქტის ზონა](#)
- [მედია](#)
- [არქივი](#)
- [კონტაქტი](#)

[მთავარი](#) » [ახალი ამბები](#) » ირაკლი მაჭარაშვილი გარემოს დაცვის ახალ მინისტრს აკრიტიკებს

# ირაკლი მაჭარაშვილი გარემოს დაცვის ახალ მინისტრს აკრიტიკებს

2012.12.14 | 17:18

Like

5 people like this. Be the first of your friends.

0

Tweet 0

Share



ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი ირაკლი მაჭარაშვილი გარემოს დაცვის მინისტრს ხათუნა გოგალაძეს აკრიტიკებს. მაჭარაშვილი „დარიალი ჰესის“ მშენებლობასთან დაკავშირებით მოპოვებულ ახალ დოკუმენტებზე დაყრდნობით ამბობს, რომ მოქმედი მინისტრი წინა მთავრობის პოზიციას არ ემიჯნება.

საუბარი ეხება „მწვანე ალტერნატივას“ მიერ [მოპოვებულ დოკუმენტებს](#). ერთ–ერთი დოკუმენტიდან ჩანს, რომ პირველი პროექტის მიხედვით, „დარიალი ჰესის“ სიმძლავრე 110–ის ნაცვლად 50 მეგავატი უნდა ყოფილიყო. მეორე დოკუმენტი ენერგეტიკის დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათია, რომლითაც მაშინდელ მინისტრს ალექსანდრე ხეთაგურს წერს, რომ სამინისტროს ხელშეკრულების გაფორმებზე უარი უნდა ეთქვა, რადგან „დარიალი ჰესი“ დაცულ ტერიტორიაზე ხვდებოდა.

„მიმაჩნია, რომ ეს დოკუმენტები, რომლებიც ცნობილი გახდა, საფუძველს აძლევდა გარემოს დაცვის ახლანდელ მინისტრს და სამინისტროს, მკაფიოდ გამიჯვროდნენ კანონდარღვევით მიღებულ ამ გადაწყვეტილებებს. ის, რომ ამ ერთი კვირის განმავლობაში არ გამოვიდა გარემოს დაცვის მინისტრი და არ გააკეთა პოლიტიკური განაცხადი, არ გაემიჯნა წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილ დარღვევებს, ნიშნავს, რომ გაინაწილა პოლიტიკური პასუხისმგებლობა. მალე, ამ საქმეში, კანონდამრღვევების ძალიან ფართო წრე გამოიკვეთება და ძალიან სამწუხაროა, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს ახლანდელი ხელმძღვანელობაც ამ წრეში აპირებს შესვლას,“ – განუცხადა ირაკლი მაჭარაშვილმა მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს.

შეგახსენებთ, თბილისის სააპელაციო სასამართლომ „დარიალი ჰესის“ საქმის განხილვა დაასრულა. სასამართლო, გადაწყვეტილებას 19 დეკემბერს, 17:25 საათზე გამოაცხადებს. გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“ ითხოვს, სააპელაციო სასამართლომ გააუქმოს „დარიალი ჰესის“ მშენებლობაზე გაცემული დადებითი ეკოლოგიური